განკარგულება:**გ-81. 81240872**
თარიღი:**27/03/2024**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №7

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში ყოფილი პოლიციის შენობის (ს.კ. 89.03.22.181) მეორე სართულზე მდებარე 100 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირისთვის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ (ს/ნ 242574576) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის და არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/ნ 242574576) დირექტორის თ. გურგუჩიანის (პ/ნ 49001000583) 2024 წლის 07 მარტის წერილის (საქმე N 13/802406728-80) საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში ყოფილი პოლიციის შენობის (ს.კ. 89.03.22.181) მეორე სართულზე მდებარე 100 კვ.მ. ფართი გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირს ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრს“ (ს/ნ 242574576) ფუნქციონირების მიზნით არსებობის ვადით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოს (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი